186
1971 / 2

186/2

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

45

## № 1

იანვარი—თებერვალი

1971 წ.

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1971 წ.

## შინაარსი


**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება**

1. „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 6 ოქტომბრის № 555 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსათვის „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომანქანების სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის მიცემის უფლების მინიჭების შესახებ
4. პროდუქციის გამოშვების გადიდებით შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების წესის შესახებ
5. საქართველოს სსრ სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესების დამტკიცების შესახებ
6. იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილებაში „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ და 1966 წლის 12 თებერვლის № 78 დადგენილებაში „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების წესის შესახებ“
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების საკითხები
9. „პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის მიწოდების განსაკუთრებული პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აგვისტოს № 605 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე
10. საქართველოს სსრ კურორტების რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე მიკუთვნების შესახებ
11. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლესია უკრაინკას სახელობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ
12. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ორგანიზაციის საკითხები
13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს და საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების დებულებათა დამტკიცების შესახებ
14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ
15. „საქართველოს სსრ წიფლნარ-წაბლნარი და თელნარი ტყის კორომების სამეურნეო-სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 იანვრის № 49 დადგენილებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 143 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
17. საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის საშუალო სკოლისათვის პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის სახელის მიკუთვნების შესახებ
18. საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრების დებულების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. არქიტექტორთა კავშირის წევრების და წევრობის კანდიდატების მიერ დაკავებულ შემოქმედებითი სახელოსნოების ფართობის გადასახდელზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 იანვრის № 9 დადგენილების გავრცელების შესახებ

მეცნიერება

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

**1** „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 6 ოქტომბრის № 555 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

ვინაიდან მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული მოეწყოს 1971 წლის მაისში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეიცვალოს „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელების დაწესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 6 ოქტომბრის № 555 დადგენილების მე-2 და 6 პუნქტები და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საპატიო სიგელებისა და ფულადი პრემიების დაწესებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს 1971 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს — 1970 წლის შედეგების მიხედვით არ მიენიჭოთ“.

„6. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით შეაჯამონ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ორგანიზაციების კოლექტივების საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1970 წლის, 1971 წლის პირველი კვარტალის გეგმიან დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა წლებში მათი მუშაობის გათვალისწინებით, და 1971 წლის 15 აპრილისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს მასალები რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების იმ კოლექტივების შესახებ, რომლებისთვისაც მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელების მინიჭება“.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|---|---|
| ვ. მჟავანაძე. | გ. ძოწენიძე. | გ. ჯავახიშვილი. | თ. მოსაშვილი. |

ქ. თბილისი, 1971 წ. 19 იანვარი, № 49

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვერისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის შესახებ, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყისა და სხვა ნადირის შესყიდვის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. პუნქტი 13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აგვისტოს № 1004 დადგენილებისა „1951-1955 წლებისათვის მატყლის დამზადების გადიდების და მეცხვარეობის განვითარების ღონისძიებათა თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 ივნისის № 2167 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1624 დადგენილების 1 განაყოფის მე-8 პუნქტის მესამე აბზაცი.

3. „პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 952 დადგენილების პუნქტი 11.

4. „მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის 1956 და 1957 წლების გეგმის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 10 იანვრის № 18 დადგენილების მე-15 პუნქტი და მე-16 პუნქტის ქვეპუნქტები „ბ“ და „დ“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**Ვ. ᲛᲟᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 თებერვალი, № 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 3 საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსათვის „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომანქანების სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის მიცემის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გადაწყვიტოს საკითხი, რომ მიეცეთ ცალკეულ შემთხვევებში უფასოდ „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილები სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს, რომელთაც აქვთ ავტომობილის მართვის სამედიცინო საწინააღმდეგო ჩვენება, თუ ავტომობილის მართვა ინვალიდის მომსახურებისათვის შეუძლია განახორციელოს მასთან მუდმივ მცხოვრებმა ოჯახის წევრმა, ამასთან სამინისტრომ მტკიცედ იხელმძღვანელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971წ. 5 იანვარი, № 11

## 4 პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 დეკემბრის № 981 დადგენილება „პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების წესის შესახებ“, აგრეთვე „პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით (შჩეკინოს ქიმიური კომბინატის მაგალითის მიხედვით) მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების პირობები“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. დაწესდეს, რომ გადაწყვეტილებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 დეკემბრის № 981 დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ რესპუბლიკური სამინისტროების (უწყებების) და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, რომლებშიაც შემოღებულია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, მიიღებენ რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები პროფკავშირთა სათანადო კომიტეტებთან, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით და დასაქმებული პერსონალის შემცირებით (შჩეკინოს ქიმიური კომბინატის მაგალითის მიხედვით) მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების დროს გულდასმით შეამოწმონ მუშაკთა რაოდენობის ნორმატივები და მომსახურების ნორმები და მოიყვანონ ისინი ტექნიკის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონის შესაბამისობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 6 იანვარი, № 12

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 981

1970 წლის 11 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

### პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით (შჩეკინოს ქიმიური კომბინატის მაგალითის მიხედვით) მრეწველობის დარგების საწარმოების მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებანი ამიერიდან ხორციელდებოდეს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებით პროფკავშირის შესაბამის ცენტრალურ (რესპუბლიკურ) კომიტეტთან შეთანხმებით.

გადაწყვეტილებებს მრეწველობის დარგების იმ საწარმოებში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლებშიაც შემოღებულია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, მიიღებენ პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით:

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში — სსრ კავშირის სამინისტრო (უწყება);

მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების (უწყებების) საწარმოებში — სსრ კავშირის შესაბამისი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო (უწყება) მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ან მათი დავალებით მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკური სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრო (უწყება) რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

რესპუბლიკური სამინისტროების (უწყებების) და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ან მისი დავალებით რესპუბლიკური სამინისტრო (უწყება) რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში გადაწყვეტილებებს ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ მიიღებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი და საკავშირო პროფსაბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, აგრეთვე სსრ კავშირის სახმშენთან (როდესაც ეს ღონისძიება ხორციელდება სამშენებლო ორგანიზაციებში) შეთანხმებით.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით (შჩეკინოს ქიმიური კომბინატის მაგალითის მიხედვით) მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელებისას გულმოდგინედ შეამოწმონ რაოდენობის ნორმატივები და მომსახურების ნორმები და მოიყვანონ ისინი ტექნიკის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონის შესაბამისად.

3. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს მიიღონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტების ორგანოებთან ერთად საჭირო ზომები იმ მუშაკთა გადამზადებისა და შრომითი მოწყობისათვის, რომლებიც სამუშაოსაგან თავისუფლდებიან ამ დადგენილების თანახმად განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს დაამტკიცონ პროდუქციის გამოშვების გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირებით (შჩეკინოს ქიმიური კომბინატის მაგალითის მიხედვით) მუშაკთა დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების პირობები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ა. კოსიგინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. სმირტიუკოვი.

# 5 საქართველოს სსრ სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესების დამტკიცების შესახებ

სოფლად მშენებლობის შემდგომი მოწესრიგებისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე თვითნებური და უპროექტო მშენებლობის შემთხვევების აღკვეთის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 728 დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების თანდართული წესები.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა არ დაუშვან სახელმწიფო, საკოლმეურნეო და სხვა საზოგადოებრივ შენობათა და ნაგებობათა თვითნებური და უპროექტო მშენებლობა სოფლად.

3. სასურველად იქნეს მიჩნეული, რომ კოლმეურნეებმა, აგრეთვე მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც მუდმივად მუშაობენ და ცხოვრობენ სოფლად, ააშენონ საჭირო შემთხვევებში მათთვის დადგენილი წესით გამოყოფილ საკარმიდამო ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობანი საქართველოს სსრ სახმშენის ადგილობრივი ორგანოების მიერ რეკომენდებული ტიპობრივი პროექტების მიხედვით.

დადგინდეს სავალდებულო წესი, რომ ყველა შემთხვევაში შეთანხმებულ იქნეს რაიონულ არქიტექტორთან და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან კოლმეურნეთა, სოფლად მუდმივ მომუშავე და მცხოვრებ მუშათა, მოსამსახურეთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და სამეურნეო ნაგებობების დადგმის (მიბმის) ადგილები.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ ამ წესის დაცვა და აღკვეთონ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობა ამ შენობათა დადგმის (მიბმის) თვითნებურად არჩეულ ადგილებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 11 იანვარი, № 14

 ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 11 იანვრის № 14
დადგენილებით

# საქართველოს სსრ სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესები

## I. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კოოპერაციული საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგრეთვე ინდივიდუალური მენაშენეებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ყოველგვარი სახის მშენებლობას და კეთილმოწყობას სასოფლო დასახლებულ პუნქტებში.

2. განაშენიანების წესები ძირითადი სახელმძღვანელო საბუთია ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც განაგებენ სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვას, განაშენიანებას, კეთილმოწყობასა და გამწვანებას.

3. სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი შესაბამისად საქართველოს სსრ სახმშენის, მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებთან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომებთან ერთად.

4. სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა და კეთილმოწყობის კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები რაიონული არქიტექტორების მეშვეობით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის შესაბამისად, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) აღმასკომები.

5. სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვასთან, განაშენიანებასთან, კეთილმოწყობასთან და გამწვანებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნება მუდმივი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე), რაიონული არქიტექტორი, მთავარი (უფროსი) მიწათმომწყობი და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს, რაიონული კომუნალური ორგანოების, სანეპიდსადგურის და სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის წარმომადგენლები.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოების წარმომადგენლები, დაინტერესებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და რაიონის სხვა ორგანიზაციების სპეციალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები. მშენებლობისათვის ტერიტორიის ამორჩევის დროს კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იქნება საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

6. ძირითად საპროექტო-საგეგმო დოკუმენტებს, რომელთა შესაბამისად ხდება მშენებლობის ობიექტების განლაგება სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, წარმოადგენენ:

ა) სასოფლო-სამეურნეო და ადმინისტრაციული რაიონების რაიონული დაგეგმვის პროექტები (სქემები);

ბ) სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტები.

აკრძალულია სამრეწველო, საწარმოო, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების (გარდა კოლმეურნეთა, სოფლად მცხოვრებ და მომუშავე მუშამოსამსახურეთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა), აგრეთვე საინჟინერო ქსელებისა და კომუნიკაციების ყოველგვარი უპროექტო მშენებლობა.

7. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების რაიონული დაგეგმვის პროექტები (სქემები) და სამშენებლო დაგეგმვის სქემა, რესპუბლიკის სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტები, აგრეთვე ტიპობრივი ინდივიდუალური ან ექსპერიმენტული პროექტები სოფლად მშენებლობისათვის, ტიპობრივი პროექტების მიბმა უბნებზე შემუშავდება „საქსოფლმშენპროექტის“ მთავარი საპროექტო ინსტიტუტის და მისი ფილიალების ძალებით, ამასთან ამ მუშაობაში საქართველოს სსრ სახმშენის და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გადაწყვეტილებით მონაწილეობას მიიღებენ სხვა საპროექტო ორგანიზაციები.

სასოფლო- სამეურნეო ტერიტორიების რაიონული დაგეგმვის პროექტებს (სქემებს) დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახმშენის წარდგენით.

სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტებს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს კანონის შესაბამისად განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოები და წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოების აღმასკომებს.

8. ცვლილებების შეტანა სასოფლო-სამეურნეო რაიონების რაიონული დაგეგმვის პროექტებში (სქემებში), სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტებში, ცალკეული შენობების ან კომპლექსების ტიპობრივი, ინდივიდუალური და ექსპერიმენტული პროექტების მიბმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მასალებში შეუძლია საპროექტო ორგანიზაციას, რომელმაც საპროექტო დოკუმენტაცია შეიმუშავა, და მხოლოდ სახმშენის შესაბამისი ორგანოების ნებართვით.

9. სასოფლო დასახლებული პუნქტის დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტის უქონლობისას მშენებლობის ყველა სახეობის განლაგება უნდა განხორციელდეს „საქსოფლმშენპროექტის“ მიერ შედგენილი სამშენებლო ზონირების ან მასთან შეთანხმებით იმ საპროექტო ორგანიზაციის სქემით, რომელმაც შეიმუშავა მოცემული დასახლებული პუნქტისათვის მშენებლობის ტიპობ-

რივი, ინდივიდუალური, ექსპერიმენტული პროექტების მიხმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სამშენებლო ზონირების სქემა შემუშავდება და მასზე გამოიყოფა საკარმიდამო ერთი ან ორსართულიანი და შერეული განაშენიანების დაპროექტებული ტერიტორია. უმნიშვნელოვანესი ქუჩები და გასასვლელები, საზოგადოებრივი ცენტრი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ნაკვეთები, საწარმოო კომპლექსები, აგრეთვე პირველი რიგის მშენებლობის ყველა ობიექტი.

10. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) და რაიონული საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან შეაჩერონ მშენებლობა იმ შემთხვევებში, თუ დაირღვა სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტები, სამშენებლო ზონირების სქემები და არქიტექტურულ-საგეგმო მოცემულობანი, რომლებსაც იძლევიან რაიონული საბჭოების აღმასკომები კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებისათვის, აგრეთვე ინდივიდუალურ მენაშენეთა საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობებისათვის.

## II. მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და გამოყენების წესი

11. მიწის ნაკვეთები გამოეყოფათ სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს როგორც სახელმწიფო მიწის ფონდის მიწებიდან, ისე ყველა კატეგორიის მიწათმოსარგებლეებისათვის მიწების ჩამორთმევის გზით, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

12. როგორც სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან, ისე სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწებიდან, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწებიდან სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა და განხილვა წარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“.

13. მიწის ნაკვეთების გამოყოფა ნატურით და წითელი ხაზების გამოტანა მშენებლობისათვის ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამტკიცდება სასოფლო დასახლებული პუნქტის დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტი ან სამშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ზონირების სქემა, ხოლო მათი უქონლობის შემთხვევაში — სამშენებლო ობიექტების შესაბამისი პროექტები.

14. საპროექტო ორგანიზაციებმა და მიწის ნაკვეთების გამომყოფმა ორგანოებმა, რომლებიც იძლევიან დაპროექტების არქიტექტურულ-საგეგმო მოცემულობებს და ამტკიცებენ საპროექტო დოკუმენტაციას, უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით, რომლის თანახმად მშენებლობისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის უნდა გამოიყოს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის გამოუსადეგარი მიწები.

სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთების გამოყოფა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით. ამასთან საპროექტო ორგანიზაცია მოვალეა მტკიცედ დაასაბუთოს გასანაშენიანებლად ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების აუცილებლობა და გაითვალისწინოს კომპენსაცია ახალი მიწების ათვისების ხარჯზე.

15. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მიწის ნაკვეთები სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებში, რომლებიც მიჩენილი აქვთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, გამოიყენება საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობებითა და ნაგებობებით განაშენიანებისათვის, აგრეთვე საკარმიდამო მიწათსარგებლობისათვის. ამასთან საჭიროა თავი აარიდონ მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული მიწების გამოყოფას განაშენიანებისათვის. საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობებისა და ნაგებობების განლაგება ამ მიწებზე წარმოებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

16. მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური მშენებლობისათვის სოფლის დასახლებულ პუნქტებში წარმოებს სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებით და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

17. სოფლის დასახლებულ პუნქტებში საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება:

— კოლმეურნეებისათვის — იმ წესითა და ნორმების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით;

— სოფელ ადგილებში მცხოვრები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის — მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. იმ მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლება, რომლებიც არ აუთვისებიათ მენაშენეებს (მათ შორის ინდივიდუალურ მენაშენეებს) გამოყოფის დროიდან ორი წლის განმავლობაში ან გამოყენებულია არაპირდაპირი დანიშნულებით, უნდა შეწყდეს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების 14 და 15 მუხლების შესაბამისად.

მეხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

19. ყველა სახის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებისადმი კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომები.

### III. მშენებლობის გაფორმების წესი

20. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უფლების ნებართვის გაცემას და იმ მშენებლობის რეგისტრაციას, რასაც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციები ახორციელებენ იმ ობიექტებზე, რომლებისთვისაც გაცემულია არქიტექტურულ-საგეგმო მოცემულობანი, ეწევიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები რაიონული არქიტექტორების წარდგენით.

21. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ნებართვის მისაღებად სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, საწარმოებმა და დაწესებულებებმა უნდა წარადგინონ:

ა) გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ;

ბ) მიწის ნაკვეთის გეგმა და აქტი ნატურით მისი გამოყოფის შესახებ;

გ) ობიექტების მშენებლობის დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

დ) ცნობა ობიექტის მშენებლობის დაფინანსების გახსნის შესახებ;

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები) საკუთარი მშენებლობის შესახებ ნებართვის მისაღებად არ არიან მოვალენი წარადგინონ გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ.

22. მე-20 და 21 პუნქტებში ჩამოთვლილი საბუთების წარდგენის შემდეგ რაიონული არქიტექტორები 10 დღის ვადაში მისცემენ ორგანიზაციებს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ნებართვას.

23. საბინაო-სამოქალაქო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა დანიშნულების ობიექტების მიღება საექსპლოატაციოდ, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, ხორციელდება სამშენ. ნორმებისა და წესების III-ა 10—60 (X) და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 ივლისის № 538 დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

24. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭო კონტროლს გაუწევს საბჭოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისა და კომუნალური საწარმოების მშენებლობის მიმდინარეობას.

მშენებლობის ხარისხისა და ვადისადმი კონტროლს განახორციელებენ აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები რაიონული არქიტექტორების, სახელმწიფო არქიტექტურულ-სამ-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

შენებლო კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორების, რაიონული სოფლის მეურნეობის სამმართველოების ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის მეშვეობით.

## IV. მშენებლობის განხორციელება

25. სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა ყველა შენობისა და ნაგებობის მშენებლობა უნდა განახორციელოს მოქმედი ტიპობრივი პროექტებით, რომლებიც რეკომენდებულია საქართველოს სსრ სახმშენის მიერ და შესულია ტიპობრივი პროექტების დამტკიცებულ ნუსხებსა და კატალოგებში.

ინდივიდუალური და ექსპერიმენტული პროექტებით შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა წარმოებს დადგენილი წესით მიღებული ნებართვის საფუძველზე.

26. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის საკარმიდამო ნაკვეთის განაშენიანება და კეთილმოწყობა უნდა განხორციელდეს საკარმიდამო ნაკვეთის განაშენიანების რაიონული არქიტექტორის მიერ გაცემული იმ გეგმის მტკიცე შესაბამისობით, რომელშიაც აღნიშნულია საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო შენობების დადგმის (მიბმის) ადგილი.

27. სასოფლო დაბების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაპროექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა პირობები, მოსახლეობის ეროვნული თავისებურებანი, გარემო ლანდშაფტი. სოფელ ადგილებში დაბებმა უნდა უზრუნველყონ მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების საუკეთესო პირობები, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალ სანიტარიულ-ჰიგიენურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს, უნდა ჰქონდეთ მიმზიდველი არქიტექტურული სახე. მათი დაპროექტებისა და განაშენიანებისას შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე არქიტექტურის საუკეთესო მიღწევები და ხალხური ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობა.

28. საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის (საბავშვო ბაღები-ბაგები, სკოლები, პროფტექნიკური სასწავლებლები, ტექნიკუმები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, სპორტული ნაგებობანი, კლუბები, კულტურის სახლები, კინო-თეატრები, რესტორანები, უნივერმაღები, ყოფაცხოვრების სახლები, სასოფლო საბჭოები) ხორციელდება არქიტექტურულ-საგეგმო მოცემულობათა საფუძველზე.

არქიტექტურულ-საგეგმო მოცემულობათა გაცემისა და გაფორმების წესს დაადგენს საქართველოს სსრ სახმშენი.

აკრძალულია არქიტექტურულ-საგეგმო მოცემულობის შეცვლა იმ ორგანოსთან შეუთანხმებლად, რომელმაც იგი გასცა.

29. ყველა კატეგორიის მენაშენეები, რომლებმაც დაარღვიეს სასოფლო დასახლებული პუნქტის ან მისი ცალკეული ნაწილის დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტი, სამშენებლო ზონირების სქემა და სხვა ასეთი საპროექტო დო-

მუხრანის...

კუმენტები, რომლებიც იძლევიან მშენებლობის უფლებას, აგრეთვე ეწევიან თვითნებურ მშენებლობას, — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ მოვალენი არიან ერთი თვის ვადაში თავიანთ ხარჯზე აღმოფხვრან დაშვებული დარღვევები, ხოლო თვითნებური მშენებლობის შემთხვევაში — შეწყვიტონ მშენებლობა, აიღონ უნებართვოდ აშენებული შენობები და სათანადო წესრიგში მოიყვანონ მიწის ნაკვეთი.

30. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭო კონტროლს გაუწევს განაშენიანების გეგმების დაცვას, შეაჩერებს მშენებლობას, თუ მისი წარმოების დროს დარღვეულია დასახლებული პუნქტების განაშენიანების გეგმები.

დამტკიცებული საპროექტო-საგეგმო დოკუმენტაციის დარღვევისათვის, რის შედეგადაც მოხდა კაპიტალური მშენებლობის არამიზანშეწონილი განლაგება, აგრეთვე სასოფლო დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მდებარე შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მიცემული იქნებიან პასუხისგებაში დადგენილი წესით.

31. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები, რომლებიც მშენებლობას ეწევიან სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, წილობრივ მონაწილეობას მიიღებენ წყალმომარაგების, კანალიზაციის, ელექტრომომარაგების, გაზიფიკაციის საერთო ქსელების აგებაში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში და ქუჩების, გასასვლელების კეთილმოწყობასა და დაბის გამწვანებაში.

32. სასოფლო დასახლებული პუნქტების (რომლებსაც არა აქვთ დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტები) მშენებლობა და კეთილმოწყობა, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის ხაზში ან საგარეუბნო და მწვანე ზონაში, აგრეთვე რკინიგზების და რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საერთო სახელმწიფო საავტომობილო გზების მიმდებარე ტერიტორიებზე, ხორციელდება ასეთი ტერიტორიების განაშენიანებისა და კეთილმოწყობის იმ მოთხოვნებისა და წესების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებებით.

## V. ძირითადი მოთხოვნები სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა და კეთილმოწყობისადმი

33. სასოფლო დასახლებული პუნქტების მშენებლობაში ძირითადი მიმართულება უნდა იყოს რეკონსტრუქცია არსებული სოფლისა, რომელიც ამორჩეულია რაიონული დაგეგმვის პროექტით (სქემით) როგორც პერსპექტიული, და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში — ახალი დაბების მშენებლობა.

ახალი დაბის მშენებლობა დაიშვება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ახალი მიწების ათვისებისა და დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის რაიონებში;

ბ) თუ პერსპექტიულად ამორჩეული არსებული დასახლებული პუნქტის ფარგლებში მშენებლობისათვის არ არსებობს გრუნტისა და რელიეფის ხელსაყრელი პირობები;

გ) თუ არ არსებობს დაბის წყალმომარაგების შესაძლებლობა პერსპექტივაში:

დ) თუ არ არსებობს ტერიტორია დაბის განვითარებისათვის პერსპექტივაში;

ე) თუ აღმოჩნდა სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სასარგებლო წიაღისეული იმ არსებული დასახლებული პუნქტის ფარგლებში, რომელიც ამორჩეულია, როგორც პერსპექტიული, ან მის მიმდებარე მიწებზე, აგრეთვე სხვა ასეთ შემთხვევებში.

34. სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანება და კეთილმოწყობა უნდა მოხდეს დადგენილი წესით შემუშავებული დაგეგმვისა და განაშენიანების დამტკიცებული პროექტების შესაბამისად.

35. სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანებისას საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ყველაზე ხელსაყრელი პირობები წარმოებისა და მოსახლეობის ცხოვრების განვითარებისათვის, საცხოვრებელი და საწარმოო ზონების მტკიცედ განსაზღვრით, დაცულ იქნეს ტექნოლოგიური, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიული მოთხოვნები, რაციონალურად განლაგდეს მშენებლობის ობიექტები ტერიტორიაზე, სავალდებულოდ განხორციელდეს კეთილმოწყობის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობას საჭირო კომუნალური და კულტურულ- საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

36. სასოფლო დასახლებული პუნქტის სამშენებლო ზონირების სქემით განაშენიანების დროს საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნოლოგიური მოთხოვნების დაცვა;

ბ) არსებული სამშენებლო ფონდისა და მწვანე ნარგავების მაქსიმალურად შენარჩუნება.

37. სასოფლო დასახლებული პუნქტების რეკონსტრუქციის დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული არსებული კაპიტალური განაშენიანება და მწვანე ნარგავები; არსებული შენობებისა და ნაგებობების აღება შეიძლება, თუ არსებობს სათანადო ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება, და პირველ რიგში, ავარიული, ძველი და ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარი შენობებისა.

დადგენილი წესით ჩამოსართმევ მიწის ნაკვეთებზე მდებარე კუთვნილი შენობებისა და ხილ-კენკრის ნარგავების ღირებულება მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 და 1962 წლის 7 ივლისის № 451 დადგენილებების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს, რომლებსაც პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით ასალები ნაგებობანი და მოწყობილობანი (სახლები, ფარდულები და სხვ.), შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენონ ამ შენობებისა და მოწყობილობათა დაშლის შემდეგ მიღებული მასალები (მათი ღირებულების ანაზღაურების მიუხედავად).

მოქალაქეთა სურვილისამებრ, მათი პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი ასალები საცხოვრებელი სახლები და ნაგებობანი, შეიძლება გადატანილ და აღდგენილ იქნან ახალ ადგილზე (მოცემული ადგილმდებარეობის ფარგლებში, დადგენილი წესით გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე) იმ ორგანიზაციის სახსრებით, რომელსაც გამოეყო მიწის ნაკვეთი.

სახლებისა და შენობების გადატანის შესაძლებლობას მათი ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით.

38. აკრძალულია ერთსართულიანი სახლების კაპიტალური და აღდგენითი რემონტი პირველი რიგის რეკონსტრუქციისა და განაშენიანებისათვის განკუთვნილ ნაკვეთებზე. ნებადართულია მხოლოდ ამ სახლების მიმდინარე რემონტი.

39. სასოფლო დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა უნდა მოხდეს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობების მშენებლობასთან ერთად.

40. დაბის (საცხოვრებელი და საწარმოო ზონების) მშენებლობის რიგითობის მიხედვით კეთილმოწყობის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მოედნების, ქუჩების, გასასვლელებისა და ტროტუარების მოკირწყვლა, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ელექტრომომარაგების, ტელეფონიზაციის, რადიოფიკაციისა და სხვა კომუნიკაციების ნაგებობებისა და ქსელების მშენებლობა, აგრეთვე ტერიტორიის გაწმენდა ნაგავისა და ნაყარნუყარისაგან.

41. ორ სართულზე მეტი საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები უზრუნველყოფილ უნდა იქნან ცენტრალიზებული წყალმომარაგებით, კანალიზაციითა და თბომომარაგებით.

42. სასოფლო დასახლებული პუნქტების ტერიტორია უნდა გამწვანდეს იმ მიზნით, რომ შეიქმნას:

— ხელსაყრელი პირობები მოსახლეობის ცხოვრებისა და დასვენებისათვის.
— სანიტარიულ-დაცვითი და ხანძარსაწინააღმდეგო ზოლები;
— ქარსაცავი ზოლები;
— წყალსაცავი ზონები.

43. ორგანიზაციები, დაწესებულებები, საწარმოები და ცალკეული პირები, რომელთა სარგებლობაში გადაცემულია მიწის ნაკვეთები მშენებლობისათვის, მოვალენი არიან უზრუნველყონ ამ ნაკვეთებზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ხეების მოჭრა მშენებლობისათვის, მენაშენე მოვალეა დარგას სამაგიეროდ სათანადო რაოდე-

№1

ნობის ხე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს მიერ ნაჩვენებ ადგილებში.

44. გამწვანების ღონისძიებები ითვალისწინებენ:

— მოედნების, ქუჩებისა და გასასვლელების გამწვანებას;

— საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებისა და ნაგებობების ნაკვეთების გამწვანებას;

— სანიტარიული, ქარსაცავი, წყალსაცავი, ხანძარსაწინააღმდეგო, ეროზიისსაწინააღმდეგო და სხვა ზოლებისა და უბნების გამწვანებას;

— საზოგადოებრივი პარკებისა და ბაღების გაშენებას.

45. სასოფლო დასახლებული პუნქტის დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტის, ხოლო მისი უქონლობისას — სამშენებლო ზონირების სქემის შედგენის დროს — საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს კულტურის ყველა არსებული ძეგლის (არქიტექტურული, არქეოლოგიური, ისტორიული), აგრეთვე სამახსოვრო და ღირსშესანიშნავი ადგილების შენარჩუნებისა და გამოყენების ღონისძიებანი.

46. ყოველგვარი მშენებლობა, რომელიც წარმოებს კულტურის ძეგლების, სამახსოვრო და ღირსშესანიშნავი ადგილების უშუალო მახლობლად, უნდა შეუთანხმდეს დაინტერესებულ ორგანიზაციებს და საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოებს.

## 6 იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილებაში „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ და 1966 წლის 12 თებერვლის № 78 დადგენილებაში „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების წესის შესახებ“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 დეკემბრის № 983 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ 1969 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია მშენებლობაში ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმები და ფასები, დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილებისა „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ და 1966 წლის 12 თებერვლის № 78 დადგენილებისა „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 11 იანვარი, № 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 11 იანვრის № 15
დადგენილებით

# ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

**რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილებაში „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ და 1966 წლის 12 თებერვლის № 78 დადგენილებაში „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების წესის შესახებ“.**

1. „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაწესდეს, რომ მომავალი წლების მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს დაამტკიცებენ:

**მშენებლობებისა, რომელთა დაპროექტება ახლად იწყება:**

ა) 3 მილიონი და მეტი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

ბ) ერთი მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

გ) 0,5 მილიონი მანეთიდან 1 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

დ) 0,5 მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისა:

— შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

**მშენებლობებისა, რომელთა დაპროექტება წინა წლებიდან გადმოდის:**

ა) 3 მილიონ და მეტი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

ბ) 1 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

გ) ერთ მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები, სამინისტროები და

მუზ. ბიბლიოთეკა

უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი".

2. „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების წესის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 თებერვლის № 78 დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაწესდეს, რომ საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღებას, გარდა უნიკალური და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტებისა, აწარმოებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონი მანეთი და მეტია;

ბ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, სამინისტროები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტები და სამმართველოები, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი — დაქვემდებარებული ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდეა;

გ) საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ტრესტები, სამმართველოები, განყოფილებები—ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5 მილიონ მანეთამდეა;

დ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები — საქვეუწყებო ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,1 მილონ მანეთამდეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღნიშნულ დადგენილებას დაემატოს პუნქტი $1^1$ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„$1^1$. დადგინდეს იმ მშენებლობებისა და ობიექტების სატიტულო სიების დამტკიცების ახალი წესი, რომლებიც შენდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, აგრეთვე კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, გარდა ობიექტების სატიტულო სიებისა, რომლებსაც სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შესაბამისად ამტკიცებენ საწარმოთა დირექტორები:

ა) საწარმოო დანიშნულების ახლად დასაწყებ იმ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონი მანეთი და მეტია, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონ მანეთამდეა — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები;

ბ) საწარმოო დანიშნულების იმ გარდამავალი მშენებლობების სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2 მილიონი მანეთი და მეტია დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2 მილიონ მანეთამდეა — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები;

გ) ჭაბურღილების გათხრის, ნავთობისა და გაზის საბადოების, სარეწებისა და უბნების მოწყობის და მოქმედი მაგისტრალების ქსელებთან მათი შეერთების სამუშაოების, მოქმედ შახტებში, ჭრილებზე, მაღაროებსა და საბადოებში შესასრულებელი სამთო-კაპიტალური სამუშაოების, ამ საწარმოებსა და მოქმედ საწარმოებში ტორფის მოპოვების უბნებზე ახალი ჰორიზონტების მომზადების სამუშაოების, მოქმედ საწარმოებში მერქნის დამზადების, გამოზიდვის, დაცურების და გადაცლის უზრუნველსაყოფად შესასრულებელი და ტყის აღდგენისა და დაცვის იმ სამუშაოების სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონ მანეთამდეა, დაამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ ობიექტების ახლად დაწყებული მშენებლობების სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონი და მეტია, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0.5 მილიონ მანეთამდეა, — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები;

ე) საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ გარდამავალი ობიექტების სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონი მანეთი და მეტია, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონ მანეთამდეა, — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილების 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. **მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 13 იანვარი, № 22

## 8 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების საკითხები

„საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, № 1 დანართის თანახმად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი განისაზღვროს 237 ერთეულით და ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით 31841 მანეთით, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სამივლინებო ხარჯების ასიგნებანი 65,9 ათასი მანეთით.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, № 2 დანართის თანახმად ისე, რომ აპარატის შენახვა მოხდეს სამეურნეო ანგარიშზე.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი განისაზღვროს 149,5 ერთეულით და ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით 20943 მანეთით, მათ შორის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შემცირების ხარჯზე — 75 ერთეულით, ხოლო ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით 7593 მანეთით და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემის ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირების ხარჯზე — 74,5 ერთეულით და ხელფასის სათანადო ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საქვეუწყებო ტრესტებისა და სხვა ორგანიზაციების ცენტრალური აპარატების ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე.

დამტკიცდეს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენახვის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა 1971 წლისათვის 440 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სამივლინებო ხარჯების შემცირების ანგარიშში — 20,8 ათასი მანეთის ოდენობით.

3. გადაეცეს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 1971 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში არსებული ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, სახელმწიფო სანერგე მეურნეობათა ტრესტი და „საქფრინველმრეწვის" სამმართველო მათი საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობებით, საწარმოებით, ორგანიზაციებითა და დაწესებულებებით, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებით და საწარმოებით, № 3 დანართის თანახმად.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობა — ტექნიკუმებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა დაეკისროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მეცნ. ბ. ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების მონაწილეობით გაჰყონ ამ სამინისტროებს შორის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებანი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთელი ფონდები და ლიმიტები, აგრეთვე თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატებისა და ხელფასის დანარიცხების ლიმიტი იმ ფარგლებში, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუმტკიცდა ბიუჯეტით სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად 1971 წლისათვის.

5. დაევალოთ სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. ი. გ. რთველიაშვილს და საბჭოთა მეურნეობების მინისტრს ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას გაჰყონ დადგენილი წესით სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწყობილობა და ქონება.

6. გაუდიდდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ლიმიტი თვეში 400 მანეთით.

7. უფლება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ისარგებლოს 8 მსუბუქი სამსახურებრივი ავტომანქანით ცენტრალური აპარატის მომსახურებისათვის (გარდა ხელმძღვანელობისა).

8. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ნოემბრის № 633 დადგენილების დანართში შემდეგი ცვლილებანი:

№ 1 დანართის მე-10 პუნქტში სიტყვების: „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს";

№ 1 დანართში გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი პუნქტი 28-ა შემდეგი შინაარსისა:

„28-ა. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემის ტრესტები — 3-4 ავტომანქანა".

9. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების მინისტრს მ. ბ. ღვინჯილიას შეიმუშაოს და 1971 წლის 1 ივნისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შესახებ.

10. დაევალოთ საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს წარმოუდგინონ მინისტრთა საბჭოს და ფინანსთა სამინისტროს 1971 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსები იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად ორივე სამინისტროს ბალანსები შეესაბამებოდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემოსავალ-გასავლის ბალანსს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 14 იანვარი, № 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 14 იანვრის № 28
დადგენილების დანართი № 1

## სტრუქტურა

### საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა

ხელმძღვანელობა და ინსპექცია
ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველო
მევენახეობისა და მეხილეობის სამმართველო
მარცვლეული კულტურებისა და მიწათმოქმედების საერთო საკითხების სამმართველო შემდეგი განყოფილებებით:

ა) მეთესლეობის განყოფილება,

ბ) ბოსტნეულის, კარტოფილის და ბაღჩეული კულტურების განყოფილება.

მეცხოველეობის სამმართველო შემდეგი განყოფილებებით:

ა) მეცხვარეობის განყოფილება,

ბ) საწარმოო საქმის განყოფილება,

გ) საკვების მოპოვების, მდელოებისა და საძოვრების განყოფილება.

ვეტერინარული სამსახურის მთავარი სამმართველო,
მცენარეთა დაცვის სამმართველო;
სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო სამმართველოთი და განყოფილებით:

ა) მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის სამმართველო,

ბ) ელექტროფიკაციისა და ელექტროენერგიის გამოყენების განყოფილება.

საგეგმო სამმართველო,
საფინანსო სამმართველო,
დამზადებისა და ორგსამეურნეო გეგმების სამმართველო,
კოლმეურნეობების საქმეთა მთავარი სამმართველო, განყოფილებებით:

ა) კოლმეურნეობათა წესდების დაცვის კონტროლის განყოფილება,

ბ) შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების განყოფილება,

გ) ეკონომიკისა და ანალიზის განყოფილება,

დ) საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისა და დამხმარე საწარმოების განყოფილება.

მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობის, მინდორსაცავი ტყის გაშენების და ნიადაგის დაცვის მთავარი სამმართველო შემდეგი განყოფილებებით:

ა) საკოლმეურნეო ტყეების განყოფილება,

ბ) ნიადაგის დაცვის საინსპექტორო განყოფილება.

სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენების სამმართველო

მუხ. პარლამენტის ბიბლიოთეკა

მეცნიერებისა და პროპაგანდის მთავარი სამმართველო შემდეგი სამმართველოებითა და განყოფილებებით:

ა) მეცნიერებისა და პროპაგანდის სამმართველო,

ბ) სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის განყოფილება,

გ) სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილება,

დ) გამომგონებლობის, რაციონალიზაციისა და პატენტირების განყოფილება,

ე) სასოფლო-სამეურნეო განათლების სამმართველო.

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო,
კოლმეურნეობებში მშენებლობის სამმართველო,
საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება
ხელმძღვანელი კადრებისა
მეორე განყოფილება,
ცენტრალური ბუღალტერია,
შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის განყოფილება,
ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო და ბუღალტერია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 14 იანვრის № 28
დადგენილების დანართი № 2

## ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

### საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსი

ხელმძღვანელობა,
ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველო,
მევენახეობისა და მეხილეობის სამმართველო,
მეცხოველეობისა და საკვების მოპოვების სამმართველო,
ვეტერინარული სამსახურის სამმართველო,
მარცვლეული და ტექნიკური კულტურების სამმართველო,
მებოსტნეობის სამმართველო,
მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამმართველო,
მთავარი საგეგმო-ეკონომიური სამმართველო შემდეგი სამმართველოებითა და განყოფილებებით:

ა) საგეგმო სამმართველო,
ბ) საფინანსო სამმართველო,
გ) შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების სამმართველო,
დ) დამზადების დაგეგმვისა და ორგსამეურნეო გეგმების სამმართველო,
ე) ეკონომიური ანალიზის განყოფილება.

მელიორაციის, მიწების ათვისების, თესლბრუნვისა და ნიადაგის დაცვის სამმართველო, განყოფილებით:

კოლხეთის დაბლობის მიწების ათვისების განყოფილება.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის და ქიმიზაციის განყოფილება,
მცენარეთა დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის სამმართველო.
კაპიტალური მშენებლობის სამმართველო შემდეგი განყოფილებებით:

ა) საგეგმო განყოფილება,
ბ) საწარმოო-ტექნიკური განყოფილება,

საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება,
ხელმძღვანელი კადრებისა
ცენტრალური ბუღალტერია,
ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო და ბუღალტერია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 14 იანვრის № 28
დადგენილების დანართი № 3

## ს ი ა

### საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს

### ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტი

| | |
|---|---|
| 1. გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობა | |
| 2. ტეხურის დაფნისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა | |
| 3. ნოსირის დაფნის | საბჭოთა მეურნეობა |
| 4. ახალი სენაკის დაფნის | ” |
| 5. შხეფის ციტრუსების | ” |
| 6. დიდი ჭყონის ჩაის | ” |
| 7. ვედიდკარის ჩაის | ” |
| 8. აბასთუმნის ტუნგოს | ” |
| 9. ონარიის ჩაის | ” |
| 10. ხეცერის ჩაის | ” |
| 11. ნარაზენის ჩაის | ” |
| 12. ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა — ტექნიკუმი | |
| 13. ინგირის ჩაის | საბჭოთა მეურნეობა |
| 14. ხეთის დაფნისა და ციტრუსების | ” |
| 15. კოლხეთის სუბტროპიკული | ” |
| 16. ხობის „განთიადი“ სუბტროპიკული | ” |
| 17. ხიბულის ჩაის | ” |
| 18. ფოთის ციტრუსების | ” |
| 19. წალენჯიხის ჩაის | ” |
| 20. ლესიჭინეს ჩაის | ” |
| 21. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა — ტექნიკუმი | |
| 22. ნარუჯის ჩაის | საბჭოთა მეურნეობა |
| 23. ნასაკირალის ჩაის | ” |
| 24. ურეკის ციტრუსების | ” |
| 25. ღრმაღელის ციტრუსების | ” |
| 26. ლანჩხუთის ჩაის | ” |
| 27. სალიბაურის ჩაის | ” |
| 28. თხილნარის სუბტროპიკული | ” |
| 29. მახინჯაურის ციტრუსების | ” |
| 30. გონიოს ციტრუსების | ” |
| 31. მახვილაურის ციტრუსების | ” |
| 32. ახალშენის ციტრუსების | ” |
| 33. ოჩხამურის ჩაის | ” |

| | |
|---|---|
| 34. ცეცხლაურის ჩაის | საბჭოთა მეურნეობა |
| 35. ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის | " |
| 36. მუხაესტატეს ციტრუსების | " |
| 37. ალამბრის ციტრუსების | " |
| 38. ციხისძირის ციტრუსების | " |
| 39. ჩაქვის ციტრუსების | " |
| 40. კვირიკეს ციტრუსების | " |
| 41. გულრიფშის ილიჩის სახელობის ციტრუსების | " |
| 42. მეგობრობის ციტრუსების | " |
| 43. კოხორის კვარაცხელიას სახელობის ციტრუსების | " |
| 44. მზიურის ციტრუსების | " |
| 45. ქვემო ბარგების ჩაის | " |
| 46. ზემო ბარგების ჩაის | " |
| 47. ხუმუშკურის ჩაის | " |
| 48. გალის ჩაის | " |
| 49. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა — ტექნიკუმი | |
| 50. მზიურის ჩაის | საბჭოთა მეურნეობა |
| 51. გაგრის ციტრუსების | " |
| 52. სიხარულის ციტრუსების | " |
| 53. ახალი ათონის („ფსირცხა") ციტრუსების | " |
| 54. ეშერის ციტრუსების | " |
| 55. აფსნის ციტრუსების | " |
| 56. ზედა ეწერის ლენინის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა | |
| 57. მოქვის ჩაის | საბჭოთა მეურნეობა |
| 58. მერკულის ჩაის | " |
| 59. კინდღის ჩაის | " |
| 60. ჯალის ციტრუსების | " |
| 61. აგუბედიის ტუნგის | " |
| 62. რუსთაველის ჩაის | " |
| 63. ბათუმის ხის დამმუშავებელი მექანიკური სახელოსნო | |
| 64. ხობის ხის დამმუშავებელი მექანიკური სახელოსნო | |
| 65. კელასურის ტარის მასალების დამამზადებელი სახელოსნო | |

### მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი

| | |
|---|---|
| 1. აწყურის მერძევეობა-მეხილეობის | საბჭოთა მეურნეობა |
| 2. წყალთბილის მეკარტოფილეობის | " |
| 3. ახალციხის მებოსტნეობა-მეხილეობის | " |
| 4. ადიგენის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 5. ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 6. კავთისხევის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 7. ქვათახევის მებოსტნეობის | " |

| | |
|---|---|
| 8. დვირის მებოსტნეობა-მერძევეობის | საბჭოთა მეურნეობა |
| 9. საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 10. წნორის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 11. სამგორის კიროვის სახელობის მერძევეობის | " |
| 12. კუმისის მებოსტნეობის | " |
| 13. ავჭალის მერძევეობის | " |
| 14. ნორიოს მერძევეობის | " |
| 15. გამარჯვების მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 16. ახალი სამგორის მებოსტნეობის | " |
| 17. გაჩიანის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 18. რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 19. მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 20. სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 21. დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 22. დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბოსტნეულის მაღაზია | |
| 23. გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის | საბჭოთა მეურნეობა |
| 24. კრწანისის მებოსტნეობის | " |
| 25. კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბოსტნეულის მაღაზია | |
| 26. ჯანდარის სანაშენო მეცხვარეობის | საბჭოთა მეურნეობა |
| 27. ნატახტარის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 28. ნიჩბისის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 29. კაჩაგანის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 30. კასუმლოს მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 31. ალგეთის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 32. არაფლოს მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 33. მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 34. წერეთლის მებოსტნეობის | " |
| 35. სადახლოს მეთამბაქოეობის | " |
| 36. არახლოს მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 37. მანგლისის მერძევეობის | " |
| 38. ორბეთის მერძევეობის | " |
| 39. ერედვის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 40. გეგუთის მებოსტნეობა-მერძევეობის | " |
| 41. ბაშის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 42. ბათუმის მერძევეობის | " |
| 43. ქობულეთის მებოსტნეობის | " |
| 44. გაგრის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |

45. გაგრის რუსთაველის სახელობის მებოსტნეობის საბჭ. მეურნ.
46. ოჩამჩირის მერძეველობა-მებოსტნეობის ”
47. კრწანისის ხის დამმუშავებელი სახელოსნო

## მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი

1. ოკამის მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა
2. ვაჩიანის მეხორცეობა-მერძეველობის ”
3. სულდის მეხორცეობა-მერძეველობის ”
4. კარზახის მეხორცეობა-მერძეველობის ”
5. ზაკვის მეცხოველეობის ”
6. კოჩიოს მეცხოველეობის ”
7. კარტიკანის მეცხოველეობის ”
8. განძის მეხორცეობა-მერძეველობის ”
9. გონდრის მეცხოველეობის ”
10. მოხის მეხორცეობა-მერძეველობის ”
11. ფცის მეჭარხლეობა-მერძეველობის ”
12. ქვენატკოცის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქ. საბჭ. მეურნეობა
13. ბაკურიანის ნადირთმოსაშენებელი ”
14. ციხისჯვრის სანაშენო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ”
15. გუჯარეთის მეცხოველეობის ”
16. ივრის მერძეველობა-მებოსტნეობის ”
17. ალვანის სანაშენო მეცხვარეობის ”
18. რუსთავის სანაშენო მეღორეობის ”
19. ყულარის ცხენსაშენი ”
20. რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა
21. კლდეკარის მეცხოველეობის ”
22. ბაშკოვის მეხორცეობა-მერძეველობის ”
23. თრიალეთის მეხორცეობის ”
24. ავრალოს მეხორცეობა-მეკარტოფილეობის ”
25. წალკის მეცხოველეობის ”
26. ბეშთაშენის მერძეველობა-მეკარტოფილეობის ”
27. გარისის მეცხოველეობის ”
28. თეთრი წყაროს მეცხოველეობის ”
29. თიანეთის მერძეველობა-მეხორცეობის ”
30. ერწოს მეხორცეობა-მერძეველობის ”
31. ირგანჩაის მეცხოველეობის ”
32. ბაშკიჩეთის მურა-კავკასიური ჯიშის სანაშენო ”
33. ვაკის მეკარტოფილეობა-მერძეველობის ”

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| 34. კიროვის მეცხოველეობის | საბჭოთა მეურნეობა |
| 35. ეგრისის მერძევეობა-მეკარტოფილეობის | საბჭოთა მეურნეობა |
| 36. დმანისის მეცხოველეობის | " |
| 37. თამარაშენის მერძევეობა-მებოსტნეობის | " |
| 38. ცონის მეხორცეობა-მერძევეობის | " |
| 39. ჯავის მეცხოველეობის | " |
| 40. ბექმარის მეცხოველეობის | " |
| 41. ლენინგორის მეცხოველეობის | " |
| 42. ზანათის მეღორეობის | " |
| 43. სუჯუნის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის | " |
| 44. ძველი სენაკის სანაშენო მეღორეობის | " |
| 45. ანაკლიის მეკამეჩეობის | " |
| 46. ქვალონის მეღორეობის | " |
| 47. ახალი სოფლის მეღორეობის | " |
| 48. ჭალადიდის მეღორეობის | " |
| 49. პატარა ფოთის მეღორეობის | " |
| 50. უშგულის მეცხოველეობის | " |

**მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი**

| | |
|---|---|
| 1. ალის მევენახეობის | საბჭოთა მეურნეობა |
| 2. ბრეთის მეხილეობის | " |
| 3. რუისის მეხილეობის | " |
| 4. დედოფლის მეხილეობის | " |
| 5. კეხიჯვრის მეხილეობის | " |
| 6. შავშვების მეხილეობის | " |
| 7. კარალეთის მეხილეობის | " |
| 8. ვარიანის მეხილეობის | " |
| 9. ქიწნისის მეხილეობის | " |
| 10. შინდისის მეხილეობის | " |
| 11. ქსნის მევენახეობის | " |
| 12. ოკამის მევენახეობის | " |
| 13. კოდისწყაროს მეხილეობა-მებოსტნეობის | " |
| 14. მანავის მევენახეობის | " |
| 15. ხაშმის მევენახეობის | " |
| 16. კარდანახის მევენახეობის | " |
| 17. შრომის მევენახეობის | " |
| 18. მუკუზნის მევენახეობის | " |
| 19. გურჯაანის მევენახეობის | " |
| 20. ხირსის მევენახეობის | " |
| 21. ტიბაანის მევენახეობის | " |
| 22. კისისხევის მევენახეობის | " |

№ 1

23. წინანდლის მევენახეობის — საბჭოთა მეურნეობა
24. ნაფარეულის მევენახეობის — „
25. ახმეტის მევენახეობის — „
26. მატაანის მევენახეობის — „
27. პანკისის მევენახეობის — „
28. ზემო ხოდაშნის მევენახეობის — „
29. ახმეტის მევენახეობის სანერგე — „
30. ყვარლის მევენახეობის — „
31. ქინძმარაულის მევენახეობის — „
32. საბუეს მევენახეობის — „
33. სამგორის მევენახეობის — „
34. ლილოს მევენახეობის — „
35. ვარკეთილის მევენახეობის — „
36. ყულარის მევენახეობის — „
37. ალგეთის მევენახეობის — „
38. ხრამის მევენახეობის — „
39. შაუმიანის მევენახეობა-მერძევეობის — „
40. ბოლნისის მევენახეობის — „
41. არაგვისპირის მეხილეობა-მევენახეობის — „
42. არცევის მეხილეობის — „
43. ველების მეხილეობის — „
44. ვაზისუბნის მევენახეობის — „
45. სულორის მეხილეობის — „
46. ვარციხის მევენახეობის — „
47. საჩხერის მევენახეობის — „
48. არგვეთის მევენახეობის — „
49. როდინოულის მევენახეობის — „
50. კოტიანეთის მევენახეობის — „
51. ბანძის მევენახეობის — „
52. ჩოხატაურის მევენახეობის — „
53. ბომბორის მევენახეობის — „
54. ორგანული სასუქის დამზადების ცენტრალური ბაზა

### სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტი

1. ახალციხის — სახელმწიფო სანერგე
2. ბებნისის — „
3. ტყვიავის — „
4. ქვეშის — „
5. უჯარმის — „
6. გურჯაანის — „
7. კოლაგის — „

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. წნორის სახელმწიფო სანერგე
9. თელავის ”
10. ყვარლის ”
11. ლაგოდეხის ”
12. თბილისის ”
13. მცხეთის ”
14. ქსოვრისის ”
15. მარნეულის ”
16. მუღანლოს ”
17. თამარისის ”
18. ცხინვალის ”
19. ზესტაფონის ”
20. თერჯოლის ”
21. ცხაკაიას ”
22. ზუგდიდის ”
23. ფოთის საკარანტინო სანერგე
24. ურეკის სახელმწიფო სანერგე
25. მახარაძის მეყვავილეობის მეურნეობა
26. ჩოხატაურის სახელმწიფო სანერგე
27. ციხისძირის ”
28. სოხუმის ”
29. თბილისის ყვავილების მაღაზია

„საქფრინველმრეწვის“ სამმართველო

1. გომის მეფრინველეობის ფაბრიკა
2. საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა
3. შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
4. თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკა
5. ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა
6. მუღანლოს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა
7. კოდის მეფრინველეობის ფაბრიკა
8. თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა
9. წყალტუბოს მეფრინველეობის ფაბრიკა
10. სამტრედიის მეფრინველეობის ფაბრიკა — საბჭოთა მეურნეობა
11. საჩხერის მეფრინველეობის ფაბრიკა
12. ბათუმის ”
13. გაგრის ”
14. სამგორის სანაშენო მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
15. მცხეთის მეფრინველეობის ფაბრიკა (მშენებარე)
16. გორის მეფრინველეობის ფაბრიკა (მშენებარე)
17. სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

## საინკუბატორო სადგურები

1. ახალქალაქის საინკუბატორო სადგური
2. ახალციხის „
3. ქარელის „
4. გორის „
5. გურჯაანის „
6. წნორის „
7. თელავის „
8. ლაგოდეხის „
9. დუშეთის „
10. თეთრიწყაროს „
11. ცხინვალის „
12. წყალტუბოს „
13. საჩხერის „
14. ამბროლაურის „
15. ცხაკაიას „
16. ზუგდიდის „
17. ლანჩხუთის „
18. სოხუმის „
19. გალის „
20. საგარეჯოს „
21. წითელწყაროს „
22. ყვარლის „
23. ბორჯომის „ (მშენებარე)

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში უშუალოდ შედიან:

1. გარდაბნის რაიონული სოფლის მეურნეობის სამმართველო
2. სამშენებლო-სარემონტო სამმართველო
3. ავტობაზა (გარაჟი)
4. წყნეთის ორსართულიანი 18-ბინიანი სახლი
5. რადიოკვანძი

საპროექტო ინსტიტუტის „საქსახმიწპროექტის“ და სპეციალიზებული ტრესტების ქ. თბილისში მშენებარე ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსის სამსახურებრივი სადგომები მშენებლობის დამთავრების შემდეგ განაწილდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ორგანიზაციებს შორის, დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული ფართობების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

## 9 „პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის მიწოდების განსაკუთრებული პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აგვისტოს № 605 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დავალების შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა დაამტკიცა „პურფუნთუშეულის ნაწარმის მიწოდების განსაკუთრებული პირობები“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აგვისტოს № 605 დადგენილება „პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის მიწოდების განსაკუთრებული პირობების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 20 იანვარი, № 32.

## 10 საქართველოს სსრ კურორტების რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე მიკუთვნების შესახებ

„კურორტებისა და დასასვენებელი ზონების ტერიტორიის განაშენიანებისა და სანიტარიულ-საკურორტო დაწესებულებებისა და დასასვენებელი დაწესებულებების მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აგვისტოს № 723 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს წინადადებანი:

— საკავშირო პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი — საქართველოს სსრ კურორტების რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებზე მიკუთვნების შესახებ, № 1 დანართის თანახმად;

— საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი — საქართველოს სსრ კურორტების (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ჩაუთვლელად) ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე მიკუთვნების შესაბებ, № 2 დანართის თანახმად.

2, პასპორტებისა და მათი შემცვლელი საბუთების გაწერისას სახელმწიფო ბაჟი, აგრეთვე საკურორტო გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს ამ დადგენილების №№ 1 და 2 დანართებში ჩამოთვლილ კურორტებზე.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 31 მარტის № 210 დადგენილება, გარდა სამკურნალო ადგილების სიის დამტკიცებისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 29 იანვარი, № 53

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 29 იანვარს № 53
დადგენილების დანართი № 1

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ კურორტებისა, რომლებიც მიკუთვნებული არიან რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებზე

1. აბასთუმანი — ადიგენის რაიონი
2. ახტალა — გურჯაანის რაიონი
3. ბაკურიანის ჯგუფის კურორტები (ბაკურიანი, ლიბანი, პატარა ცემი, წაღვერი, ცემი) — ბორჯომის რაიონი
4. ბათუმი
5. ბახმარო — ჩოხატაურის რაიონი
6. გუდაუთა — გუდაუთის რაიონი
7. გულრიფში — გულრიფშის რაიონი
8. ჯავა — ჯავის რაიონი
9. მწვანე კონცხი — ხელვაჩაურის რაიონი
10. ოქროს ნაპირი — გუდაუთის რაიონი
11. კვერეთი — საჩხერის რაიონი
12. ლესელიძე-განთიადი — გაგრის რაიონი
13. მახინჯაური —ხელვაჩაურის რაიონი
14. მენჯი — ცხაკაიას რაიონი
15. მიუსერა — გუდაუთის რაიონი
16. ნაბეღლავი — ჩოხატაურის რაიონი
17. რიწა-ავადხარა — გუდაუთის რაიონი
18. საირმე — მაიაკოვსკის რაიონი
19. სურამი — ხაშურის რაიონი
20. სოხუმის ჯგუფის კურორტები (სოხუმი, აგუძერა, ბესლეთი, გუმისთა, ეშერი)
21. თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი
22. უწერა — ონის რაიონი
23. ცაიში — ზუგდიდის რაიოხი
24. ციხისძირი — ქობულეთის რაიონი
25. შოვი — ონის რაიონი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 29 იანვრის № 53
დადგენილების დანართი № 2

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ კურორტებისა, რომლებიც მიკუთვნებული არიან ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე

1. ანაკლია — ზუგდიდის რაიონი
2. არხილოსკალო — წითელწყაროს რაიონი
3. ასპინძა — ასპინძის რაიონი
4. ახალდაბა — ბორჯომის რაიონი
5. ახალციხე — ახალციხის რაიონი
6. ვარძია — ასპინძის რაიონი
7. გორმაღალი — სამტრედიის რაიონი
8. გორისჯვარი — გორის რაიონი
9. გომის მთა — მახარაძის რაიონი
10. ზვარე — ორჯონიკიძის რაიონი
11. ზეკარი — მაიაკოვსკის რაიონი
12. ქვიშხეთი — ხაშურის რაიონი
13. კიკეთი — გარდაბნის რაიონი
14. კოჯორი — „ “
15. კურსები — ტყიბულის რაიონი
16. ლაში-ჭალა — ცაგერის რაიონი
17. ლებარდე — გეგეჭკორის რაიონი
18. მალთაყვა — ქ. ფოთი
19. მანგლისი — თეთრიწყაროს რაიონი
20. მუაში — ლენტეხის რაიონი
21. ნაქალაქევი — ცხაკაიას რაიონი
22. ნასაკირალი — მახარაძის რაიონი
23. ნუნისი — ორჯონიკიძის რაიონი
24. ოქტომბერი — ყვარლის რაიონი
25. ფასანაური — დუშეთის რაიონი
26. სიმონეთი — თერჯოლის რაიონი
27. სიონი — ყაზბეგის რაიონი
28. სკური — წალენჯიხის რაიონი
29. სულორი — ვანის რაიონი
30. თეთრიწყლები — თელავის რაიონი
31. თორღვას აბანო — თელავის რაიონი

32. უჯარმა — საგარეჯოს რაიონი
33. ურეკი — მახარაძის რაიონი
34. ხოვლე — კასპის რაიონი
35. წავკისი — გარდაბნის რაიონი
36. ცივი კოდა — საგარეჯოს რაიონი
37. ციხისჯვარი — ბორჯომის რაიონი
38. წყნეთი — გარდაბნის რაიონი
39. წოდორეთი — გარდაბნის რაიონი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მებრელიშვილი.

## 11 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლესია უკრაინკას სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გამოჩენილი უკრაინელი მწერლის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლესია უკრაინკას სახელობის ერთი სტიპენდია, უნივერსიტეტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

სტიპენდიის ოდენობა განისაზღვროს თვეში 60 მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მებრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 8 თებერვალი, № 66

## 12 საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ორგანიზაციის საკითხები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს 1971 წლის 1 თებერვლიდან იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი 82 ერთეულის რაოდენობით, ხელფასის ფონდი თანამდებობრივი განაკვეთებით თვეში 10260 მანეთი, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებისა — 32 ერთეულის რაოდენობით და ხელფასის ფონდი თანამდებობრივი განაკვეთებით თვეში 3495 მანეთი.

ამასთან დაკავშირებით გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაუქმებული იურიდიული კომისიის 26,5 ერთეული და ხელფასის ფონდი 3474 მანეთი და 21 ერთეული ხელფასის 2822 მან. თვიური ფონდით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შტატის შემცირების ხარჯზე.

3. იუსტიციის სამინისტრომ დაამტკიცოს ცენტრალური აპარატის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების საშტატო განრიგები ამ დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნული შტატისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

4. . . . დაწესდეს სამსახურებრივი მსუბუქი ავტომანქანების შესანახი ხარჯების ლიმიტი (გარდა ზემოაღნიშნული ხარჯებისა) საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებისათვის წელიწადში 12,6 ათასი მანეთის ოდენობით იმ ასიგნებათა ხარჯზე, რომლებიც გამოყოფილია მმართველობის ორგანოების შესანახად 1971 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს დაამტკიცოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით თავისი აპარატის სტრუქტურა და შტატები.

6. დაევალოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ რესპუბლიკის 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 8 თებერვალი, № 67

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 8 თებერვლის № 67
დადგენილების დანართი

## ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

### საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსი

1. ხელმძღვანელობა
2. სასამართლო ორგანოების სამმართველო
3. კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველო
4. სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილება
5. სამართლებრივი პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკითხების განყოფილება
6. კადრებისა
7. ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩების სამმართველო
8. სტატისტიკისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილება
9. საფინანსო-სამეურნეო განყოფილება
10. კანცელარია განყოფილების უფლებებით.

*

* *

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებობს:

1. იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური კურსები
2. თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
3. საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო
4. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო
5. მმაჩის რესპუბლიკური არქივი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

## 13 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს და საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების დებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულებანი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს და საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 268 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 10 თებერვალი, № 71

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 10 თებერვლის № 71
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი და ამოცანები

სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების შესაბამისად ახორციელებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმისადმი კონტროლს, თუ როგორ იცავენ წესდების მოთხოვნებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტი) ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციებისა.

### II. სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს მოვალეობანი და უფლებები

1. სამმართველო:

ა) კონტროლს გაუწევს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის წესების, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით გათვალისწინებული სხვა წესების, დებულებებისა და ინსტრუქციების დაცვას;

ბ) კონტროლს გაუწევს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების და აღნიშნული ტარიფების შეფარდების წესების დაცვას;

გ) კონტროლს გაუწევს საავტომობილო ტრანსპორტის სასაქონლო-სატრანსპორტო და იმ სხვა დოკუმენტების სწორად გაფორმებას, რომლებიც დაწესებულია საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვისათვის;

დ) შეამოწმებს საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის სწორად გამოყენების, აგრეთვე იმავე მიმართულებით მიმავალი ცარიელი ავტომობილების დატვირთვის წესების დაცვის სისწორეს;

ე) აწარმოებს ბრძოლას საავტომობილო ტრანსპორტზე ბოროტმოქმედებების, ფულადი ამონაგების მითვისების, ავტომობილის ექსპლუატაციის წესების დარღვევის, მგზავრთა უბილეთოდ მგზავრობის, აუნაზღაურებლად ბარგის გატანის და სხვა წინააღმდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შეამოწმებს ტვირთის გადაზიდვის და მგზავრთა მომსახურების ორგანიზაციისათვის არსებულ ნაგებობათა და მოწყობილობათა მდგომარეობას;

ზ) სისტემატურ კონტროლს გაუწევს, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამმართველოები, ტრესტები, საწარმოები და ორგანიზაციები მთავრობის გადაწყვეტილებებს, სამინისტროს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე და რა ზომებია მიღებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის.

2. სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველო:

ა) განაზოგადებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის და უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის შემოწმების მასალებს და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების მოთხოვნათა დარღვევების, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტზე ბოროტმოქმედებათა ჩადენის ფაქტებს აცნობებს შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

განზოგადებული მასალები მოხსენდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამ მასალებს მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან ამ მასალების შესახებ აცნობებს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს;

ბ) შეიმუშავებს ინსტრუქციებს, მეთოდურ მითითებებს კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, აგრეთვე თანამდებობრივ ინსტრუქციებს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურის მუშაკებისათვის და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ სამინისტროს ხელმძღვანელობას;

გ) მოაწყობს სამმართველოს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ შორის მუშაობის გამოცდილების გაზიარებას;

დ) სამინისტროს ხელმძღვანელობის ნებართვით მონაწილეობას მიიღებინებს საკონტროლო მუშაობაში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს, აგრეთვე, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ავტოსატრანსპორტო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს;

ე) განიხილავს მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს საავტომობილო ტრანსპორტის სარგებლობის წესების დაცვის, მგზავრობის, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვის საფასურის არასწორად გადახდევინების, ბილეთების არასწორად მიცემის, აგრეთვე მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა საკითხებზე;

ვ) განიხილავს შემოსულ წინადადებებს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი კონტროლის გამარტივების შესახებ და განსახილველად წარუდგენს რეკომენდაციებს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას;

*ზ) ხელმძღვანელობას გაუწევს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფ-*

რთხოების განყოფილებებსა და ჯგუფებს სამინისტროს საქვეუწყებო ტრესტებსა და საწარმოო ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებში.

3. სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის და უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოწმება;

ბ) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებიდან გამომდინარე დარღვევების დროს აძლიოს სავალდებულო მითითებანი დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

გ) ფართო პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის მონაწილეობით მოაწყოს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის საზოგადოებრივი კონტროლი;

დ) შეამოწმოს ავტომობილები ხაზზე და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების დარღვევების, აგრეთვე ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის შემთხვევებში შეადგინოს აქტები, პატაკები და სხვა დოკუმენტები, გააკეთოს ჩანაწერები საგზურებსა და საბილეთო-საალრიცხვო ფურცლებში, საჭიროების შემთხვევაში ჩამოართვას საგზურები და საბილეთო-საალრიცხვო ფურცლები, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში მოხსნას ხაზიდან ავტობუსები, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები;

ე) დადგენილი წესით დააჯარიმოს დამნაშავენი სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის სარგებლობის წესების დარღვევისათვის.

4. სამმართველოს მუშაკები მოვალენი არიან მტკიცედ იხელმძღვანელონ თავიანთ საქმიანობაში ამ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით.

## III. სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს ორგანიზაციული სტრუქტურა

1. სამმართველო შედგება ორი განყოფილებისაგან:

ა) სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის შემოწმების სახაზო კონტროლის განყოფილება;

ბ) მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორის განყოფილება.

2. სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველო იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, მას აქვს თავისი შტამპი და მრგვალი ბეჭედი.

3. სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი.

სამმართველოს ყველა მუშაკს დანიშნავს და სამუშაოდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.

## IV. სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან 10 დღის ვადაში მიიღონ ზომები სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს მიერ გამოვლინებული დარღვევების აღმოსაფხვრელად და კანონით დადგენილი წესით დასაჯონ დამნაშავე პირები.

უკეთუ გამოვლინებულ დარღვევათა გამო სამმართველოს მიერ შედგენილ დოკუმენტებს არ ეთანხმებიან, საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო მეურნეობების ხელმძღვანელები მოვალენი არიან 3 დღის ვადაში წარუდგინონ ამის შესახებ თავიანთი მოსაზრებანი საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 10 თებერვლის № 71
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი და ამოცანები

საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების შესაბამისად რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ რამდენად იცავენ წესდების მოთხოვნებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების დაცვა-შენახვის, მომჭირნეობის რეჟიმის და შრომითი და მატერიალური რესურსების დამზოგველობის უზრუნველყოფის ნაწილში.

### II. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების მოვალეობანი და უფლებები

1. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება:

ა) კონტროლს გაუწევს, თუ როგორ იცავენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემის ავტოსატრანსპორტო, სამრეწველო და სხვა საწარმოები შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის წესებს, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა წესებს, დებულებებსა და ინსტრუქციებს;

ბ) კონტროლს გაუწევს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების და აღნიშნული ტარიფების შეფარდების წესების დაცვას;

გ) კონტროლს გაუწევს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვისათვის დადგენილი სასაქონლო-სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტების სწორად გაფორმებას;

დ) აწარმოებს ბრძოლას საავტომობილო ტრანსპორტზე ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ (ფულადი ამონაგების მითვისება, სამუშაოთა შეუსრულებელი მოცულობის წამატება, საავტომობილო ბენზინის დატაცება და ა. შ.);

ე) შეამოწმებს საბილეთო მეურნეობის მდგომარეობას საწყობებსა და საბილეთო სალაროებში, ბილეთებისა და გამოსაღებთა ქვითრების სწორად შენახვას, აღრიცხვასა და ხარჯვას;

ვ) სისტემატურ კონტროლს გაუწევს, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამმართველოები, ტრესტები, საწარმოები და ორგანიზაციები მთავრობის გადაწყვეტილებებს, სამინისტროს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს სამინისტროს სისტემაში ბოროტმოქმედებებისა და დარღვევების თავიდან აცილების საკითხებზე;

მუხ. ბიბლიოთეკა

ზ) მოაწყობს დოკუმენტურ რევიზიებს, რომელთა მიზანია მეურნეობაში გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინება, ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების და სახელმწიფო სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ;

— გამოარკვევს საწარმოო გეგმის, დაგროვებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებს, მიიღებს ზომებს მეურნეობების, ქარხნების და სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

2. საკონტროლო სარევიზიო განყოფილება დოკუმენტური რევიზიის დროს შეამოწმებს უშუალოდ სამინისტროს საქვეუწყებო სამმართველოებში, ტრესტებში, გაერთიანებებში, ავტომეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში:

— საკასო ოპერაციებს;
— საბანკო ოპერაციებს:
— საქვეანგარიშო თანხების ოპერაციებს;
— ხელფასის ფონდის ხარჯვას;
— სასაწყობო მეურნეობას და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს;
— საწარმოო საქმიანობას;
— ადმინისტრაციულ-სამმართველო, საერთო საწარმოო და საამქრო ხარჯებს;
— სხვადასხვა ფონდების შექმნის სისწორეს;
— საანგარიშსწორებო და საკრედიტო ოპერაციებს;
— ბალანსის შეჯამებითს ანგარიშებს;
— საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას.

3. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება:

ა) განაზოგადებს სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციების რევიზიებისა და მათი მუშაობის შემოწმების მასალებს და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების მოთხოვნების დარღვევის, აგრეთვე ბოროტმოქმედებათა და დარღვევათა ფაქტებს, ცენტრალური ბუღალტერიისათვის გაცნობის შემდეგ დააყენებს სამინისტროს ხელმძღვანელობის განსახილველად;

ბ) სამინისტროს ცენტრალურ ბუღალტერიასთან ერთად შეიმუშავებს ინსტრუქციებს, მეთოდურ მითითებებს კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, აგრეთვე თანამდებობრივ ინსტრუქციებს სარევიზიო სამსახურის მუშაკებისათვის და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ სამინისტროს ხელმძღვანელობას;

გ) მოაწყობს რევიზორ-ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ შორის მუშაობის გამოცდილების გაზიარებას;

დ) საკონტროლო-სარევიზიო მუშაობაში სამინისტროს ხელმძღვანელობის ნებართვით მონაწილეობას მიაღებინებს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს;

ე) განიხილავს მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის საკითხებზე.

4. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებას უფლება აქვს შეამოწმოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები.

5. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების მუშაკები მოვალენი არიან მტკიცედ იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში ამ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით.

6. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებას სათავეში უდგას უფროსი.

განყოფილების ყველა მუშაკს დანიშნავს და სამუშაოდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.

## III. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან 10 დღის ვადაში მიიღონ ზომები საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების მიერ გამოვლინებული დარღვევების აღმოსაფხვრელად და კანონით დადგენილი წესით დასაჯონ დამნაშავე პირები.

უკეთუ გამოვლინებულ დარღვევათა გამო საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების მიერ შედგენილ საბუთებს არ ეთანხმებიან, საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან 3 დღის ვადაში წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს.

## 14 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 11 თებერვალი, № 74

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 11 თებერვლის № 74
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი არის სახელმწიფო მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს სატყეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას რესპუბლიკაში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

სატყეო მეურნეობის, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივ განვითარება, ტყის ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, ჰავის მარეგულირებელი და სხვა სასარგებლო ფუნქციების დაცვა და გაძლიერება, მათი ნაყოფიერების ამაღლება, სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების დროზე აღდგენა, აგრეთვე სახელმწიფო ტყესაცავი ზოლების და ტყის სხვა ნარგავების შექმნა და გამოზრდა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ფართოდ გამოყენების საფუძველზე იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება ტყის ყველა სახეობის პროდუქციაზე;

სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვა და შესწავლა ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით;

ტყეების დაცვა მავნე მწერებისა და დაავადებისაგან, ხანძრებისაგან, თვითნებური ჭრისა და სხვა დარღვევებისაგან, ტყის მეურნეობის სწორად გაძღოლა და სახელმწიფო ზედამხედველობა რესპუბლიკაში ტყის მთელი რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი, სატყეო მეურნეობის წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო გეგმისა და დავალებათა შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა;

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, სამეცნიერო გამოკვლევების განვითარება და სატყეო მეურნეობის წინაშე დასახული სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების შემუშავება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი:

პასუხისმგებელია სატყეო მეურნეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის, ტყის სიმდიდრეთა დაცვის ორგანიზაციისა და კვლავწარმოების უზრუნველყოფისათვის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;

ახორციელებს სატყეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოს, მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული სატყეო მეურნეობების, სახელმწიფო სანერგეებისა და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მეშვეობით და განაგებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით;

ამყარებს კონტაქტებს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან და საქმიან თანამშრომლობას ახორციელებს მათთან დარგთშორისი საკითხების შემუშავებისა და გადაწყვეტის დროს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველო, სატყეო მეურნეობები და მისდამი დაქვემდებარებული სხვა საწარმოები და დაწესებულებები შეადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ერთიან სისტემას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველო ემორჩილებიან შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოს დებულებებს, აგრეთვე ამ კომიტეტებისა და სამმართველოების სტრუქტურას და აპარატის მუშაკთა რაოდენობას ამტკიცებენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

განსაზღვრავს სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს რესპუბლიკაში, ხელმძღვანელობას გაუწევს სატყეო მეურნეობის მოწყობას სახელმწიფო ტყეებში, დაგეგმავს ტყეთმოწყობას, აწარმოებს სატყეო ფონდის

აღრიცხვას და მთავარი სარგებლობის ჭრას, ხელმძღვანელობას გაუწევს ტყესაკაფის ფონდის გადაცემას ხე-ტყის დამამზადებლებისათვის, ტყის ნედლეულის ბაზების და ტყესაკაფის ფონდის დაგეგმვას და გამოყოფას გრძელვადიანი სარგებლობისათვის დადგენილი წესით;

შეამოწმებს, თუ როგორ უძღვებიან სატყეო მეურნეობას სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები მათთვის გრძელვადიანი სარგებლობისათვის გამოყოფილ ტყეებში, აგრეთვე ძირზე ტყის გაცემის წესების დაცვას და მთავარი სარგებლობის ჭრის წესების შესრულებას;

განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაწილეობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს განსახილველად მასალებს რესპუბლიკის სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში საანგარიშო ტყესაკაფების დაწესების შესახებ;

შეიმუშავებს წინადადებებს რესპუბლიკის ტყეების შესაბამისი ჯგუფებისა და კატეგორიებისათვის მიკუთვნების შესახებ, აგრეთვე მათი ერთი ჯგუფიდან და კატეგორიიდან მეორეში გადაყვანის შესახებ და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დადგენილი წესით შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს ტყის ჭრის წესებს;

ძოაწყობს და განახორციელებს ტყით არაპირდაპირ სარგებლობას სატყეო და სამონადირეო მეურნეობის ინტერესების საფუძველზე;

შეიმუშავებს და განახორციელებს ტყის წყალდაცვითი, მინდორდაცვითი და ნიადაგდაცვითი, სანიტარიული და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაძლიერების ღონისძიებებს;

მიიღებს ზომებს წყალდაცვითი ტყეების, ძვირფასი ტყის მასივების, მწვანე ზონის ტყეებისა და იმ სხვა ტყეების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ჰავის მარეგულირებელ სანიტარიულ-ჰიგიენურ, გამაჯანსაღებელ და სხვა საცავ ფუნქციებს;

დადგენილი წესით განახორციელებს მიწის ნაკვეთების გამოყოფას სახელმწიფო ტყის ფონდიდან სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის;

განახორციელებს ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებებს;

ხელმძღვანელობას გაუწევს ტყეების დაცვას მავნებლებისა და დაავადებისაგან, ხანძრებისაგან, თვითნებური ჭრისა და სხვა დარღვევებისაგან;

განახორციელებს ტყეების აღდგენას ნაკაფებზე, ნახანძრალებზე, უდაბურ და მეჩხერ ადგილებზე. ხელოვნური ტყის გაშენებისა და ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე ეწევა წყალგამყოფების, მთის ნაკადებისა და მდინარეთა აუზების, ხევებისა და ეროზირებული ფართობების გატყიანებას სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიასა და სხვა მიწის ნაკვეთებზე;

დანერგავს ტყის კულტურების ფართობებზე სწრაფმზარდ, ხეხილის, მეურნეობრივად ძვირფას და ტექნიკურ მერქნიან ჯიშებს, ეწევა ტყის ფართობების ამოშრობას;

განახორციელებს მცირეპროდუქტიული, დაბალი სიხშირის კორომების, მეჩხერი ადგილების, ბუჩქნარებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის სხვა ფართობების რეკონსტრუქციას იმ მიზნით, რომ მიიღოს ამ ფართობებზე ძვირფასი და სწრაფმზარდი მაღალნაყოფიერი ჯიშის ნარგავები;

განახორციელებს ძვირფასი, ენდემური და რელიქტური ჯიშების (ბზა, ურთხელი, ძელქვა, ელდარისა და ბიჭვინთის ფიჭვი და სხვ.) აღდგენასა და გაშენებას, რომლებსაც სამეურნეო და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ;

მოაწყობს მუშაობას ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ მწვანე ზონების, აგრეთვე სახელმწიფო ტყესაცავი ზოლების შესაქმნელად;

შეამოწმებს სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის რესურსების გამოყენების, მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან ტყეების დაცვის ორგანიზაციის სისწორეს, ხანძრებისა და თვითნებური ჭრისაგან, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების (მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად) ისეთი მოქმედებისაგან ტყეების დაცვის მდგომარეობას, რაც ზიანს აყენებს ტყეს, მათთვის გამოყოფილ ტყეებში (იმ ტყეების გარდა, რომლებშიაც სპეციალური რეჟიმი დაწესებულია მთავრობის გადაწყვეტილებებით), ან იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მოქმედებისაგან, რომლებიც მუშაობას ეწევიან ტყეებში;

მოაწყობს და განავითარებს სატყეო-სათესლე საქმეს და ტყის სანერგეებს, უზრუნველყოფს მერქნიანი და ბუჩქოვანი ჯიშების თესლის დამზადებას, სარგავი მასალის გამოყვანას იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სატყეო მეურნეობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მოთხოვნილება ამ მასალაზე;

კონტროლს გაუწევს ტყის თესლის დამზადებას, დამუშავებასა და შენახვას საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, და შეამოწმებს ტყის თესლის ხარისხს მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;

კონტროლს გაუწევს ტყის აღდგენითი სამუშაოების ხარისხს რესპუბლიკაში, დაეხმარება სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს სატყეო მეურნეობის დაგეგმვასა და გაძღოლაში;

უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციას, მეცნიერული ძიების ეფექტიანობის ამაღლებას სატყეო მეურნეობის დარგში, სატყეო მეურნეობის ობიექტების, აგრეთვე ტყესაცავი ნარგავების დაგეგმვას;

მოაწყობს კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხე-ტყის დამზადებას, აგრეთვე სახალხო მოხმარების ცალკეული სახის და საწარმოო დანიშნულების საქონლის წარმოებას მერქნისა და მერქნის ნარჩენებისაგან, არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქტების დამზადებას ტყეებში; განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის სიმდიდრეთა უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენებას;

ტექნიკურ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებს იმ მხრივ, რომ მოაწყონ და გაუძღვენ მეურნეობას საკოლმეურნეო ტყეებში;

კონტროლს გაუწევს საკოლმეურნეო ტყეების დებულების დაცვას და ამ ტყეებში მეურნეობის გაძღოლის წესების შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებს საკოლმეურნეო ტყეების მოწყობასა და ტყის აღდგენითი ღონისძიებების შესრულებაში;

განახორციელებს მინდორსაცავი ტყის ნარგავების გაშენებას კოლმეურნეობებში სახელშეკრულებო საწყისებზე;

უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში გამოყენებას მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის;

დადგენილი წესით შეიმუშავებს და დაამტკიცებს მშენებლობათა და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს მომავალი წლების მშენებლობისათვის, კონტროლს გაუწევს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და მიწოდებული მოწყობილობის ხარისხს;

უზრუნველყოფს იმისადმი კონტროლს, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთები, ამ მიზნისათვის გამოყოფილ ასიგნებათა შესაბამისად;

კონტროლს გაუწევს მოიჯარე ორგანიზაციების მიერ წარმოებული მშენებლობის მიმდინარეობას;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანიშნავს სახელმწიფო კომისიებს საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მისაღებად საექსპლოატაციოდ;

მოაწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას, განახორციელებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფების ღონისძიებებს;

განსაზღვრავს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას მოწყობილობაზე, ნედლეულზე, სათბობსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე და დადგენილი წესით წარუდგენს განაცხადებს შესაბამის საგეგმო ორგანოებს;

განაგებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

საჭირო შემთხვევებში გადაანაწილებს გამოყოფილ ფონდებს საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური დაბანდების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით;

კონტროლს გაუწევს ნედლეულის, მასალების, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე — დროზე დაიდო თუ არა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ხელშეკრულებანი პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ და შესრულებულია თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლს გაუწევს ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსებისა და ფასეულობების სწორად გამოყენებას სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ, მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატრიალური რესურსების რეალიზაციისათვის დადგენილი წესით;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ნედლეულის, მასალების, სათბობის მომჭირნეობით ხარჯვა, დანაკარგების შემცირება წარმოებაში, საწარმოო ნარჩენების გამოყენება და განახორციელებს მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების სხვა ღონისძიებებს;

განახორციელებს საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას კომიტეტის სისტემის საწარმოებში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და საწარმოო გამოცდილების ფართოდ გამოყენების საფუძველზე;

განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რენტაბელობის ამაღლებას და დაგროვების გადიდებას, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენებას;

დადგენილი წესით დააფინანსებს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობას გაუწევს მათ საფინანსო საქმიანობას, განახორციელებს კონტროლს საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი;

დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების ფონდებს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დაჯილდოების და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

ჩამოართმევს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს საბრუნავი სახსრების ნამეტს წლიური ანგარიშების შედეგების მიხედვით მათი გადანაწილების წესით;

შეადგენს სატყეო მეურნეობის საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, სამეურნეო ანგარიშის საქმიანობის, შრომის, თვითღირებულების, რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების მომზადების, კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტის გეგმებს (პერსპექტიულს, წლიურს, კვარტალურსა და თვიურს), აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსებს, საფინანსო გეგმებს როგორც კრებსითს, ისე საქვეუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით;

დადგენილი წესით დაამტკიცებს საქვეუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების გეგმებს, შტატებსა და დაფინანსების ლიმიტებს;

ხელმძღვანელობას გაუწევს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშათა მუდმივი კადრების შექმნას, წარმოების მოწყობას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საფუძველზე;

მოაწყობს სტატისტიკურ აღრიცხვას კომიტეტის სისტემის დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყობს საბუღალტრო აღრიცხვას და ანგარიშგებას საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ დაყენებას;

დაამტკიცებს ბალანსებს, შეადგენს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს საქმიანობის ყველა განაყოფის მიხედვით, მოაწყობს დოკუმენტურ რევიზიებს საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

მოაწყობს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე მერქნისა და ხე-ტყის ნარჩენების დამზადებას, გამოზიდვას და გადამუშავებას, განახორციელებს სათანადო დავალებების მიხედვით სამასალე მერქნის, სახერხი მასალის, შეშის, ხის დამუშავების ნაწარმის, სახალხო მოხმარების საქონლის, საწარმოო დანიშნულების ნაკეთობების მიწოდებას და რეალიზაციას;

განახორციელებს მთავარი სარგებლობის ჭრას ფართო მოხმარების სააქროების პროდუქციის გამოსაშვებად. თესლისა და არაძირითადი სარგებლობის სხვა პროდუქციის (თიბვა, გარეული ნაყოფისა და კენკრის შეგროვება და გადამუშავება, წიაღისეულის დამუშავება და ა. შ.) დამზადებას ტყეებში;

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ საქვეუწყებო საწარმოებმა შეასრულონ ტყის პროდუქციის გამოშვების, მიწოდებისა და რეალიზაციის სახალხო-სამეურნეო გეგმა;

დაგეგმავს კომიტეტის მიერ მიწოდებული პროდუქციის გადაზიდვას (საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვა) და კონტროლს გაუწევს მის შესრულებას;

შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამრეწველო პროდუქციის გამოშვების სიმძლავრეთა ზრდა და მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა;

მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ გაფართოებას, უზრუნველყოფს მისი საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ჩაბარების გეგმის შესრულებას, კონტროლს გაუწევს მათს საქმიანობას;

მოაწყობს გუბურებს სახელმწიფო ტყის ფონდის ტყის კულტურებისათვის გამოუსადეგარ ფართობებზე და ბუნებრივი წყალსატევების გამოყენებას თევზის ხელოვნური მოშენებისათვის;

ხელმძღვანელობას გაუწევს კომიტეტის სისტემის სამონადირეო მეურნეობებს, განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ დაცულ იქნეს სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში ნადირობის წესები და ვადები.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სამინისტროების საერთო დებულებით იმ ფუნქციების განხორციელების დროს, რომლებიც დაკავშირებულია კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საქმიანობასთან დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის, უცხოეთის ქვეყნებთან ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

მონაწილეობა მიიღებინოს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, აგრეთვე მეცნიერ მუშაკებსა და სპეციალისტებს სატყეო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემუშავებაში;

გამოიყენოს დადგენილი წესით სამინისტროებისა და უწყებების ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოები თესლის დასამზადებლად;

მოისმინოს კომიტეტის კოლეგიის სხდომაზე იმ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინფორმაცია, რომლებსაც გამოყოფილი აქვთ ტყეები ან ეწევიან მუშაობას ტყეებში, სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის დაცვის და ტყის რესურსების სწორად გამოყენების საკითხებზე;

აძლიოს სავალდებულო მითითებანი იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებსაც გამოყოფილი აქვთ ტყეები ან ეწევიან მუშაობას ტყეებში, რომ აღმოფხვრან სატყეო მეურნეობის გაძღოლის შესახებ არსებული წესების, დებულებებისა და ინსტრუქციების დარღვევა, ტყეების დაცვისა და ტყესაკაფის ფონდის გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, აწარმოონ არაძირითადი სარგებლობის პროდუქტების დამზადება ტყეებში, ამასთან აცნობოს ეს ზემდგომი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს;

მიიღოს სამინისტროებისა, უწყებებისა, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, რომლებსაც გამოყოფილი აქვთ ტყეები ან ეწევიან მუშაობას ტყეებში, მასალები სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის დაცვის და ტყის რესურსების სწორად გამოყენების საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თანამდებობის პირებს უფლება აქვთ დაათვალიერონ დადგენილი წესით ადგილებზე საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი გადაწყვეტს სატყეო მეურნეობის ყველა საკითხს მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და შეუძლია მიანდოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოს, აგრეთვე დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, მისცემს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოს, კომიტეტის სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და შეამოწმებს მათ შესრულებას;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს საჭირო შემთხვევებში რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი:

განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი გაუმჯობესების შესახებ და განსახილველად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დადგენილი წესით მოიწვევს თათბირებს, რომლებზედაც განიხილავს მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, სატყეო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, კომიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

დადგენილი წესით დააჯილდოებს სატყეო მეურნეობის მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს;

დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე კომიტეტისადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

დადგენილი წესით ნებას დართავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რომ მიიღონ და გადასცენ ბალანსიდან ბალანსზე ან ღირებულების ანაზღაურებით კომიტეტისადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობები, ნაგებობები, ქონება და ფასეულობანი;

დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მისთვის დაწესებული შრომის გეგმის (საბიუჯეტო ასიგნებანი) ფარგლებში, აგრეთვე შეცვლის საჭირო შემთხვევებში მათ დაქვემდებარებას; დაამტკიცებს საწარმოთა წესდებებს და კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დებულებებს (წესდებებს).

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი მოვალეა მტკიცედ დაიცვას კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია სოციალისტური სახელმწიფოს საწარმოს დებულებით, მოქმედი კანონმდებლობით და სხვა აქტებით და ყოველნაირად შეუწყოს ხელი მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი თავის მუშაობას აწყობს სატყეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიალობისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, დააწესებს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას მუშაობის მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისა და განსაზღვრულ დავალებათა შესრულებისათვის.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს კომიტეტის თავმჯდომარე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კომიტეტის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით), აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. კომიტეტის შემადგენლობაში, ამის გარდა, შედიან სატყეო მეურნეობის დარგის გამოჩენილი მეცნიერები.

კომიტეტის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით), აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების, დებულებების, წესებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოხსენებებს, კომიტეტის სისტემის სამმართველოებისა და განყოფილებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა კომიტეტისადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების, სამმართველოების, განყოფილებების უფროსების და კომიტეტის სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობისათვის.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნება არბიტრაჟი კომიტეტის სისტემის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად.

კომიტეტის არბიტრაჟს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებები მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების იძულებითი წესით შესრულების შესახებ. არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

16. სატყეო მეურნეობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ წინადადებების განსახილველად, მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, სამამულო და უცხოეთის მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის რეკომენდაციების შესამუშავებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ გამოჩენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტების განსახილველად და დასამტკიცებლად შეიქმნება ტყის მომწყობი კომისია.

აღნიშნული საბჭოებისა და კომისიების შემადგენლობას და მათ დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე დებულებებს კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია გადაიყვანოს კომიტეტის სამმართველოები და განყოფილებები სამეურნეო ანგარიშზე.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

## 15 „საქართველოს სსრ წიფლნარ-წაბლნარი და თელნარი ტყის კორომების სამეურნეო-სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 იანვრის № 49 დადგენილებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ ტყეების ცალკე დეტალური პათოლოგიური გამოკვლევა ტყის მოწყობის სამუშაოებისაგან დამოუკიდებლად არ იძლევა სრულყოფილ მასალას ტყეების სამეურნეო სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 იანვრის № 49 დადგენილების მე-9 პუნქტი გაერთიანდეს მე-11 პუნქტთან და იგი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. საქართველოს წიფლნარ-წაბლნარების, თელნარებისა და სხვა ფოთლოვანი ჯიშების ტყეების პათოლოგიური და ფიტო-ბიოლოგიური დაავადების წინაალმდეგ ქმედითი ზომების მიღებისათვის, მათი გაჯანსაღების, სანიტარიული და სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვისა და განხორციელებისათვის საჭიროდ იქნეს მიჩნეული ამ ტყეების შესწავლა.

ამასთან დაკავშირებით დაევალოს საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის საწარმოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შეკვეთით, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად, ტყის მოწყობის პარალელურად უზრუნველყოს რესპუბლიკის წიფლნარების, წაბლნარების, თელნარებისა და სხვა ფოთლოვანი ჯიშის ტყეების დეტალური გამოკვლევა 1970—1974 წლებში, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასახვას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 12 თებერვალი, № 76

## 16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 143 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„მოსახლეობისათვის კატარღების, ნავებისა და ძრავების მიყიდვისა და მათი გაქირავების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 143 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად ამოღებული იქნეს ამ დადგენილების:

ა) მე-4 პუნქტიდან — სიტყვა „ბათუმი“;
ბ) დანართიდან — განაყოფი „აჭარის ასსრ.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 თებერვალი, № 93

## 17 საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის საშუალო სკოლისათვის პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს ამ რაიონის სოფ. პატარძეულის საშუალო სკოლას პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 თებერვალი, № 94

## 18 საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 18 თებერვალი, № 98

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 18 თებერვლის № 98
დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრების შესახებ

1. საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრები არსდება „ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო დრამატული თეატრების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 ივლისის № 432 დადგენილების შესაბამისად.

სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრების ძირითადი ამოცანაა რესპუბლიკის რაიონების მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესება და ისეთი მაღალიდეური სცენური ნაწარმოებების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას და ესთეტიკური გემოვნების ამაღლებას.

2. სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრები მომსახურებას უწევენ მეზობელი რაიონების მოსახლეობას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 ივლისის № 432 დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრები იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე და აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი. ისინი წარმოადგენენ იურიდიულ პირს და მოქმედებენ ამ დებულების საფუძველზე.

4. სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრების შემოქმედებითი და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს თეატრი.

5. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი, უფლება აქვს თავის სხდომებზე მოისმინოს თეატრის დირექტორისა და მთავარი რეჟისორის ანგარიში თეატრის შემოქმედებითი და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესახებ, გაუწიოს ხელმძღვანელობა თეატრის მიერ რაიონის მომსახურების გეგმის შემუშავებასა და შესრულებას.

6. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც სარაიონთაშორისო თეატრების მომსახურების ზონაში შედიან, მოვალენი არიან:

ა) სისტემატური დახმარება გაუწიონ შესაბამის სახელმწიფო დრამატულ თეატრებს მათი შემოქმედებითი და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებაში;

ბ) დაეხმარონ თეატრს სპექტაკლების გამართვაში (კულტურის სახლებსა და სასახლეებში სცენისა და დარბაზის კეთილმოწყობა, სპექტაკლებზე მაყურებელთა დასწრების ორგანიზაცია, ქალაქისა და რაიონული ცენტრის თვალსაჩინო ადგილას სარეკლამო დაფებისა და ფოტო-რეკლამის სტენდის მოწყობა);

გ) ხელი შეუწყონ თეატრს, რათა მან ურთიერთანგარიშსწორების საფუძველზე ისარგებლოს რაიონის სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციების დახმარებით;

დ) ადგილობრივი პრესის და რადიოგადაცემების საშუალებით ფართო პროპაგანდა და რეკლამა გაუწიონ თეატრის შემოქმედებითს კოლექტივს, მის ცალკეულ დადგმებს.

7. სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატულ თეატრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო მშრომელთა დეპუტატების იმ რაიონის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, სადაც მდებარეობს თეატრი. დირექტორი წარმართავს თეატრის მთელ მუშაობას და პასუხს აგებს მისი მდგომარეობისა და საქმიანობისათვის.

8. თეატრის მუშაკების ინიციატივის განვითარებისა და მისი უკეთ გამოყენების მიზნით თეატრის დირექტორი შემოქმედებითს საკითხებს წყვეტს მთავარ რეჟისორთან ერთად და კონტაქტით სამხატვრო საბჭოსთან, რომელიც წარმოადგენს სათათბირო ორგანოს დირექტორთან.

9. სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატულ თეატრს უფლება აქვს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დადოს ხელშეკრულება მომსახურების ზონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილებასთან თეატრის მიერ რაიონის მოსახლეობის მომსახურების შესახებ;

ბ) წინასწარ დაგეგმოს და გააცნოს თეატრის მომსახურების ზონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მის კულტურის განყოფილებას გასამართავი სპექტაკლების კვირეული, თვიური და წლიური განრიგი;

გ) თეატრის სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანოს მომსახურების ზონის ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

თეატრის სამხატვრო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია.

10. სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრი მოვალეა:

ა) სეზონის რეპერტუარის შედგენის დროს გაითვალისწინოს თეატრის მომსახურების ზონის ქალაქებისა და რაიონების წინადადებები და მოთხოვნები;

ბ) ყოველი ახალი დადგმა, ზოგჯერ პრემიერაც, განახორციელოს თეატრის მომსახურების ზონაში შემავალი ქალაქებისა და რაიონების სცენაზე;

გ) უზრუნველყოს თეატრის მუშაობის რიტმულობა, რეპერტუარის მრავალფეროვნება და დადგმების მაღალი ხარისხი როგორც მხატვრული, ისე ტექნიკური თვალსაზრისით;

დ) დაიცვას სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა, თეატრის უფლებები გამოიყენოს სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების განვითარების და თეატრის კოლექტივის ინტერესებისათვის.

11. სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის ბალანსში საფინანსო გარღვევის შემთხვევაში თეატრების მომსახურების ზონაში შემავალი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წილობრივი მონაწილეობა მიიღონ მის დაფარვაში.

## 19 არქიტექტორთა კავშირის წევრების და წევრობის კანდიდატების მიერ დაკავებულ შემოქმედებითი სახელოსნოების ფართობის გადასახდელზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 იანვრის № 19 დადგენილების გავრცელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არქიტექტორთა კავშირის წევრების და წევრობის კანდიდატების მიერ დაკავებული შემოქმედებითი სახელოსნოების ფართობის გადასახდელზე გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 იანვრის № 19 დადგენილება „იმ სადგომების ქირის დაწესების შესახებ, რომლებიც მხატვრებსა და მოქანდაკეებს უკავიათ შემოქმედებით სახელოსნოებად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 19 თებერვალი, № 102

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1971 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 4,25 სააღრიცხვო თაბახი 4.5

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 250 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.